სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტა“-ს გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 102

ქ. თბილისი „30“ 04 2020 წ.

საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ 2020 წლის 23 მარტის N79 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 25 დეკემბრის N139 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართის იურიდიული პირის - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრ „დელტას“ დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრ „დელტას“ გენერალური დირექტორის 2020 წლის 23 მარტის N79 ბრძანებას დაემატოს 1.1 მუხლი შემდეგი შინაარსით:

„1.1. მიმდინარე წლის 2020 წლის 6 მაისიდან დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე მყოფმა თანამშრომლებმა დაიცვან მკაცრი თვითიზოლაციის წესები კერძოდ:

ა) საცხოვრებლის დატოვება ნებადართულია მხოლოდ სასურსათო მაღაზიაში ან აფთიაქში გასვლის მიზნით, პირადი დაცვის საშუალებების გამოყენებით (ნიღაბი, ხელთათმანი, სოციალური დისტანცია);

ბ) ოჯახის წევრების გარდა სხვა პირებთან კონტაქტი აკრძალულია;

გ) მომატებული სხეულის ტემპერატურით, გირპისმაგვარი დაავადებისთვის დამახასიათებელი სიმპტომების არსებობის და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ნებისმიერი შემთხვევა უნდა აცნობონ ქვედანაყოფის სამედიცინო სამსახურს ან უშუალო უფროსს.

2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
3. ბრძანება გაეცნოს შემსრულებლებს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

საფუძველი : საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2020 წლის 29 აპრილის MOD 0 20 00384973 შეტყობინება.

გენერალური დირექტორი **ზურაბ აზარაშვილი**

ვიზირებულია:

ადამიანური რესურსების მართვის
დეპარტამენტის უფროსი **ზურაბ მენთეშაშვილი**

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი **ირმა შალამბერიძე**

მმართველობის მრჩეველი **მაია უსანეთაშვილი**

შესრულებულია:
სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“-ს
სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ
სააღრ. № ----------
დაიბეჭდა 1 ეგზ.
ეგზ.N1- საქმეში
___.___2020წ
შემსრულებელი: ელენე ტოგონიძე
მობ. ტელ: +995 598 177 137
ელ.ფოსტა etogonidze@delta.gov.ge